საქართველოს
პარლამენტი

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ქუჩა 26

№ _____

_____ _____ 201 წელი

დასკვნა

კანონის პროექტებზე „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში" ცვლილების შეტანის შესახებ", „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ", „საქართველოს საგადასახადო კოდექსში" ცვლილების შეტანის შესახებ", „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ", „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", „შემოსავლების სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე".

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისათვის მოსამზადებლად მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს განიხილა საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნული კანონპროექტები და აღნიშნავს:

კანონის პროექტი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში" ცვლილების შეტანის შესახებ"

1 კანონპროექტით გათვალისწინებულია თვითმმართველი ერთეულის მიერ მეორე თვითმმართველი ერთეულისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფა. შესაბამის განმარტებას საჭიროებს ფინანსური რესურსების ასეთი გადანაწილების შესაძლებლობა და საჭიროება, მით უფრო რომ ასეთი სიახლის შემოტანამ

შესაძლოა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში.

2 წარმოდგენილი ცვლილებებით გათვალისწინებულია ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში ყველა დონის ბიუჯეტის და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის შემოსულობებისა და გადასახდელების მოქცევა. კანონპროექტით ეს ცვლილებები ეხება ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებსაც. კომიტეტს მიზანშეწინილად მიაჩნია ეს რეგულაციები არ გავრცელდეს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების საბიუჯეტო ურთიერთობებზე.

3 კანონპროექტის პირველი მუხლის 49-ე პუნქტით 2018 წლის პირველი იანვრიდან შემოსულობების გადანაწილების წესში შედის ცვლილება, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია საშემოსავლო გადასახადის ნაწილის მიმართვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიჯეტებში. კომიტეტს მიზანშეწინილად მიაჩნია აღნიშნული შემოსავლის გადანაწილება განხორციელდეს 2016 წლის პირველი იანვრიდან.

4 შემოთავაზებული ცვლილებებით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შემოსულობები და გადასახდელები სრულად ექცევა სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში. ეს პროცესი განხორციელდება სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით ყველა დონის ბიუჯეტისათვის და არა საფინანსო ორგანოს მეშვეობით. ასეთი მიდგომა ხომ არ წარმოქმნის სირთულეებს ზოგიერთი თვითმმართველი ერთეულების საქმიანობაში, რამდენადაც თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ემსახურება მათ დაქვემდებარებაში არსებული ხაზინა.

5 წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების შედეგად ხომ არ მოხდება თვითმმართველი ერთეულების დამოუკიდებლობის შეზღუდვა საბიუჯეტო პროცესში. კომიტეტს მიაჩნია, რომ სახელმწიფო ხაზინამ თვითმმართველ ერთეულებს უნდა გაუწიოს მხოლოდ ტექნიკური მომსახურება და არ ჩაერიოს მათ კომპეტენციებში, რაც კანონპროექტიდან არ ჩანს.

6 კანოპროექტით გათვალისწინებული ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის (გარდა ცალკეული შემთხვევებისა) მხოლოდ სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშთა სისტემაში მოქცევა ხომ არ შეამცირებს მათ ფინანსურ შესაძლებლობებს, რადგან კომერციულ ბანკებში განთავსებულ სახსრებს მიმდინარე ანგარიშებზე თანხის მოცულობის გათვალისწინებით ერიცხება სარგებელი.

ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტდეს იმ კანონპროექტებით წარმოდგენილი ცვლილებებიც, რომლებსაც ისინი შეეხება.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით წარმოდგენილი კანონპროექტები მიაჩნია მომზადებულად პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განსახილველად.

დავით ონოფრიშვილი
საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის
თავმჯდომარე